IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

დაბლოკილი ვებგვერდები საქართველოში

სამართლებრივი და პრაქტიკული ანალიზი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4

შესავალი 5

ანალიზის მეთოდოლოგია და ფარგლები 5

2. რა შეიძლება გახდეს ვებგვერდის დაბლოკვის საფუძველი 6

2.1. რა არის „დაუშვებელი პროდუქცია“ 7

2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება “დაუშვებელ პროდუქციასთან” დაკავშირებით 7

3. ვებგვერდთა ბლოკირების არსებული მოდელი, ანუ როგორ მუშაობს კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილება პრაქტიკაში 8

3.1. სრულად/ნაწილობრივ დაბლოკილ ვებგვერდთა ჯამური რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები 9

3.2 ვინ ითხოვს ვებგვერდების დაბლოკვას? 10

3.3. მიმართვების შინაარსობრივი ანალიზი 11

პორნოგრაფიული პროდუქცია (2 მიმართვა) 11

საავტორო უფლებების დამრღვევი პროდუქცია (29 მიმართვა) 13

საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა სახის ინფორმაცია (34 მიმართვა) 15

3.4. რამდენად ეფექტურია ვებგვერდთა დაბლოკვა პრაქტიკაში 19

4. პროცედურული ბუნდოვანებები: ვებგვერდთა დაბლოკვის მექანიზმის ბოროტად გამოყენების პოტენციალი 24

შეჯამება 26

ძირითადი მიგნებები

- საქართველოში ვებგვერდის დაბლოკვის ტექნიკური აღმასრულებელია ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი კომპანია. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია პროვაიდერებს მიმართავს მომხმარებელთა და სხვა პირების (მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების) მიმართვების საფუძველზე.
- კომისია ფაქტობრივად არც ერთ შემთხვევაში არ არის ვებგვერდების დაბლოკვის თავდაპირველი ინიციატორი. მას გააჩნია მხოლოდ ერთგვარი შუამავლის ფუნქცია მიმმართავ სუბიექტებსა და პროვაიდერებს შორის.
- 2017 წლიდან 2022 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით კომისიამ ჯამში ვებგვერდების დაბლოკვის შესახებ 65 მიმართვა გაუგზავნა პროვაიდერებს. ამ პერიოდის განმავლობაში, ჯამში მოთხოვნილ იქნა 480 ინტერნეტ გვერდის დაბლოკვა.
- 2017 წელს კომისიას არც ერთი ვებგვერდის დაბლოკვა არ მოუთხოვია. ვებგვერდების დაბლოკვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2022 წელს (მხოლოდ პირველი 9 თვის განმავლობაში) გამოვლინდა.
- დაბლოკილი ვებგვერდების უმრავლესობა (77%) მოდის საავტორო უფლებების დამრღვევ პროდუქციაზე. საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევი სხვა პროდუქცია - 16.5%, პორნოგრაფია - 6.5%.
- ყველაზე ხშირად კომისიას მიმართავდნენ - სახელმწიფო ორგანოები (38%), შემდეგ - იურიდიული პირები (31%) და ფიზიკური პირები (20%).
- მოთხოვნილი ვებგვერდების დაბლოკვის რეალური მაჩვენებელი არის დაახლოებით 55%.
- გამოვლინდა დაბლოკვისთვის თავის არიდების სხვადასხვა ხერხები: მობილური აპლიკაციის შეთავაზება. აგრეთვე გამოიყენება სხვადასხვა პლატფორმები (მაგ. TELEGRAM) სხვა მისამართზე (დომენზე) განთავსებული იგივე ვებგვერდის თაობაზე ინფორმაციის გასავრცელებლად.
- დაბლოკილი ვებგვერდების მფლობელები ამა თუ იმ გზით, მაინც ახდენენ დაუშვებელი პროდუქციის გავრცელებას. აღნიშნულს განსაკუთრებით მარტივად ახერხებენ, პოპულარული ვებგვერდები.
- დაბლოკვის დაბალმა მაჩვენებელმა და სხვადასხვა გზით თავის არიდების შემთხვევების რაოდენობამ შეიძლება საქართველოში ვებგვერდთა დაბლოკვის მექანიზმის ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.
- ინტერნეტ გვერდების დაბლოკვის ნორმატიული მოწესრიგება არაერთ ხარვეზს შეიცავს, რომელსაც, თავის მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვანი

პოტენციალი გააჩნია. კომისიის მიერ ამ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სისტემური პრაქტიკა კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა.

- ვებგვერდთა დაბლოკვის მექანიზმის გამოყენების თაობაზე ინფორმაციას არ აქვეყნებს არც კომუნიკაციების კომისია, არც ინერნეტ სერვის პროვაიდერები და არც სხვა სახელმწიფო ორგანოები.

შესავალი

ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მიმოცვლის რეგულირება საზოგადოებრივი ცხოვრების ვირტუალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემაა. ვირტუალური ურთიერთობები საჭიროებს გარკვეულ რეგულირებას იმ ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, როგორიცაა საკუთრების უფლება, საჯარო წესრიგი, დანაშაულის თავიდან აცილება და სხვ. ამ მიზნისთვის საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, არსებობს ინტერნეტ კონტენტის დაბლოკვისა და ფილტრაციის სამართლებრივი საფუძვლები.

ამ ანალიზის მიზანია მიმოიხილოს საქართველოში ვებგვერდთა დაბლოკვის სამართლებრივი მოდელი, მისი მარეგულირებელი ნორმატიული საფუძვლები და პრაქტიკაში აღსრულების თავისებურებები.

ანალიზის მეთოდოლოგია და ფარგლები

IDFI-მ 2022 წლის 12 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან (შემდგომ - „კომუნიკაციების კომისია“, ან „კომისია“) საჯარო ინფორმაციის სახით გამოითხოვა 2017 წლიდან დღემდე ვებგვერდების დაბლოკვის მიზნით კომისიის მიერ ინტერნეტ-პროვაიდერებისთვის გაგზავნილი ყველა მოთხოვნა. კვლევა ასახავს 2017 წლიდან 2022 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლები მოიცავს 2017 წელსაც, კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2017 წელს არც ერთი ვებგვერდი არ დაბლოკილა, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 2022 წელზე (26 სექტემბრის მდგომარეობით.



ვებგვერდის დაბლოკვის ტექნიკური აღმასრულებელია ინტერნეტ სერვისის მიმწოდებელი კომპანია. ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ფიზიკური პირები, კომპანიები თუ სახელმწიფო ორგანოები მიმართავენ კომუნიკაციების კომისიას. კომისია, თავის მხრივ, ამ წერილების საფუძველზე მიმართვას უგზავნის ინტერნეტის მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს. თუმცა, ნებისმიერ პირს აქვს უშუალოდ ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიისთვის მიმართვის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, ქვემოთ წარმოდგენელი სტატისტიკური მონაცემები შესაძლოა სრულად არ ასახავდეს ვებგვერდების ბლოკირების საერთო მდგომარეობას საქართველოში.

1. რა შეიძლება გახდეს ვებგვერდის დაბლოკვის საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილ ორგანოს წარმოადგენს კომისია. კომისიის 2006 წლის 17 მარტის დადგენილებით №3 დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტი (შემდგომ - რეგლამენტი) განსაზღვრავს წინაპირობებს, რომლებიც შეიძლება გახდეს ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა

ინფორმაციის/სერვისის დაბლოკვის ან შეზღუდვის საფუძველი. ამგვარი ინფორმაცია და სერვისი გაერთიანებულია ტერმინის "დაუშვებელი პროდუქცია" ქვეშ.

1.1. რა არის „დაუშვებელი პროდუქცია"

სწორედ კომისიის რეგლამენტით არის განსაზღვრული ინფორმაციის იმ ტიპების ჩამონათვალი, რომელთა გავრცელებაც დაუშვებელია ინტერნეტით. კერძოდ, რეგლამენტის მიხედვით დაუშვებელი პროდუქცია არის „ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემული პორნოგრაფია, სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველი, პირადი ცხოვრების შემლახველი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევი, უზუსტო, საავტორო უფლებებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა პროდუქცია".

1.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება "დაუშვებელ პროდუქციასთან" დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო[1] დაუშვებელი პროდუქციის გამო ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა. "დაუშვებელი პროდუქციის" ცნება ინფორმაციის 9 ტიპზე მიგვითითებს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული 9 ტიპიდან იმსჯელა მხოლოდ 6-ზე (რომლებიც შეეხება სიძულვილისა და ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმების ამსახველ, პირადი ცხოვრების შემლახველ, ცილისმწამებლურ, შეურაცხმყოფელ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევ და უზუსტო პროდუქციას)[2] და 6-ვე მათგანის საფუძველზე კონტენტის შეზღუდვა არაკონსტიტუციურად მიიჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიას არ ჰქონდა უფლებამოსილება დაედგინა ინფორმაციის გავრცელების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ".
[2] რადგანაც დავის საგანი მხოლოდ ამ საფუძვლებით იყო შემოფარგლული.

საფუძვლები. აღნიშნული გამოხატვის თავისუფლების უფლების ფორმალური გარანტიების დარღვევად იქნა მიჩნეული.

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ დღეს არსებული მოწესრიგებით, კომისიას რჩება უფლებამოსილება მოახდინოს დაუშვებელ პროდუქციაზე წვდომის შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ, ინტერნეტით ვრცელდება:

- პორნოგრაფიული პროდუქცია;
- საავტორო უფლებების დამრღვევი პროდუქცია;
- საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა სახის ინფორმაცია.

2. ვებგვერდთა ბლოკირების არსებული მოდელი, ანუ როგორ მუშაობს კომუნიკაციების კომისიის უფლებამოსილება პრაქტიკაში

რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს კომისია, რომელთანაც მოქმედებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური“ ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ინტერნეტ სერვის პროვაიდერს უდგენს ვალდებულებას, „მოახდინოს რეაგირება დაუშვებელი პროდუქციის განთავსების თაობაზე მიღებულ ინფორმაციაზე და მიიღოს შესაბამისი ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით“. ციტირებული ნორმა იყენებს ტერმინებს „ინფორმაცია“ და „მიმართვა“. ამავე დროს, არც მითითებული ნორმიდან, არც მომხმარებელთა უფლებების რეგლამენტში დადგენილი სხვა მოთხოვნებიდან არ ირკვევა, ვინ შეიძლება იყოს მიმართვის ავტორი ან/და კონკრეტულად, რა სახის მტკიცებულებები უნდა წარადგინონ კომისიაში. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI-ს) მიერ განხორციელებული ერთ-ერთი კვლევისას[3] გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთ აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს კომისიის მიერ ინფორმაციის მიწოდება ინტერნეტ სერვის პროვაიდერებისთვის.

[3] IDFI, ინტერნეტის თავისუფლება და ციფრული უფლებები საქართველოში: სისტემური გამოწვევები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rfaLl0 წვდომის თარიღი: 13.11.2022.

აღნიშნულის თაობაზე კომისიამ განაცხადა აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოში: „პრაქტიკაში ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები, როგორც წესი, თავიანთი ინიციატივით არ იღებენ გადაწყვეტილებას და ისინი მხოლოდ აღასრულებენ კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიმართვებს.“[4]

არსებული პრაქტიკით, კომისია აღნიშნულ მიმართვებს ახორციელებს მომხმარებელთა და სხვა პირების (მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების) მიმართვების საფუძველზე.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ კომისია მიმართვაზე რეაგირებას საშუალოდ 18 დღეს ანდომებს. თუმცა, სხვადასხვა მიმართვასთან დაკავშირებით კომისიის რეაგირების ვადები რადიკალურად განსხვავდება. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში კომისია მიმართვიდან 1 დღეში უგზავნის წერილს პროვაიდერებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი 3 თვეს ანდომებს. კომისიისგან მიღებული პასუხებიდან არ ირკვევა, თუ რითია გამოწვეული ამგვარი არაერთგვაროვნება რეაგირები ვადებში.[5]

2.1. სრულად/ნაწილობრივ დაბლოკილ ვებგვერდთა ჯამური რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები

საკვლევი პერიოდის განმავლობაში კომისიამ ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს ჯამში 65 მიმართვა გაუგზავნა. ხშირ შემთხვევაში ერთი მიმართვით მოთხოვნილი იყო რამდენიმე გვერდის დაბლოკვა. ჯამში კომისიის მიერ მოთხოვნილ იქნა 480 ვებგვერდის დაბლოკვა.[6]

---

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“. პარ.17.

[5] საფუძვლების მიხედვით ეს ვადები გამოიყურება შემდეგნაირად: საავტორო უფლებები - 35 დღე, პერსონალური მონაცემების ხელყოფა - 25 დღე, ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა - 17 დღე, კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა - 12 დღე, პროსტიტუცია - 7 დღე და აზარტული თამაშები - 6 დღე.

[6] ზოგიერთი არის სრულიად ვებგვერდი, ზოგიერთი არის ვებგვერდზე განთავსებული კონკრეტული კონტენტი.

2.2 ვინ ითხოვს ვებგვერდების დაბლოკვას?

კომისია, როგორც წესი, თავისი ინიციატივით არ ახდენს ვებგვერდების მონიტორინგს, მას მიმართავენ ფიზიკური ან იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები.

კომისიამ თავისი ინიციატივით ვებგვერდების დაბლოკვის მოთხოვნით პროვაიდერებს მიმართა მხოლოდ 7-ჯერ (შემთხვევათა 11%). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 7-ვე ამ შემთხვევაში მოთხოვნის თავდაპირველი ინიციატორი კომისია არ ყოფილა. კერძოდ, როდესაც შპს "კავეა პლუსის" წერილის საფუძველზე კომისიამ მოითხოვა კონკრეტული ვებგვერდების დაბლოკვა, აღნიშნული მიმართვის დამაზუსტებლად კომისიამ დამატებით 6 მიმართვა გაუგზავნა პროვაიდერებს (შპს "კავეა პლუსის" მიმართვის გარეშე), სადაც მიუთითებს, რომ კომისიის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დამატებით გამოვლინდა ისეთი ვებგვერდები, რომლებიც დაუშვებელ პროდუქციას ავრცელებენ.[7]



[7] მე-7 მიმართვაც ანალოგიური შემთხვევაა, თავდაპირველად კომისია ინტერნეტ-პროვაიდერებს მიმართავს რეჟისორ, ანა ბუკიას წერილის საფუძველზე, ხოლო მეორედ უკვე თავისი ინიციატივით, იმაზე მითითებით, რომ აღნიშნულ ვებგვერდებზე დაუშვებელი პროდუქცია კვლავ ხელმისაწვდომია.

2.3. მიმართვების შინაარსობრივი ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვებგვერდის დაბლოკვის მიზეზი შეიძლება გახდეს, კანონით გათვალისწინებული რამდენიმე შინაარსობრივი საფუძველი. კომუნიკაციების კომისიის 65 მიმართვის მიხედვით ვებგვერდების დაბლოკვის მიზეზები/სამართლებრივი საფუძვლების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



პორნოგრაფიული პროდუქცია (2 მიმართვა)

მოცემულ ორ შემთხვევაში კომისიას არასრულწლოვანთა გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული მასალების გამავრცელებელი ვებგვერდების დაბლოკვის თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ. სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნულ ვებგვერდებზე ხდებოდა არასრულწლოვანთა გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული მასალების გავრცელება.

შსს-ს ორი მიმართვით ჯამში მოთხოვნილ იქნა 31 ვებგვერდის დაბლოკვა. აღნიშნული 31-დან 28 შემთხვევაში **(90%)** ინტერნეტ-კონტენტზე წვდომა შეზღუდულია, დანარჩენი 3 ვებგვერდი დღეის მდგომარეობით ხელმისაწვდომია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2022 წლის 4 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობასთან დაკავშრებით, რომელიც განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პორნოგრაფიის უკანონოდ დამზადების, შენახვის, გავრცელების, რეკლამირებისა და ვაჭრობისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ნორმა იმდენად ბუნდოვანია, რომ ვერ აკმაყოფილებს განსაზღვრულობის პრინციპს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტს ("არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა", ე.წ "არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე" პრინციპი). მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეაფასა სადავო ნორმის კონსტიტუციურობა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მართებულობის შეფასება არ არის რელევანტური წინამდებარე კვლევის ფარგლებში, თუმცა მისი შედეგები უნდა მიმოვიხილოთ იმდენად, რამდენადაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ინტერნეტში ვებგვერდების დაბლოკვის შინაარსობრივ საფუძვლებზე. აღნიშნული ნორმის ძალადაკარგულად ცნობა სასამართლომ გადაავადა 2023 წლის 1 მაისამდე, მანამ, სანამ პარლამენტი არ განსაზღვრავს იმას, თუ რა იგულისხმება "პორნოგრაფიულ პროდუქციაში".

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება არაერთ კითხვის ნიშანს წარმოშობს და მათი გამოკვლევა არ არის ამ ანალიზის მიზანი. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პორნოგრაფიის ლეგალური დეფინიციის განსაზღვრას, მათ შორის, გავლენა ექნება აღნიშნული საფუძვლით ვებგვერდთა დაბლოკვის პრაქტიკაზეც.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/8/926 საქმეზე „გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საავტორო უფლებების დამრღვევი პროდუქცია (29 მიმართვა)

აღნიშნული საფუძვლით ყველაზე მეტი ვებგვერდი არის დაბლოკილი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კომუნიკაციების კომისიას წერილით მიმართავენ საავტორო უფლების მქონე სუბიექტები და ითხოვენ იმ ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვას, რომლებიც არღვევენ უფლებამფლობელის კანონიერ ინტერესებს. როგორც წესი, პროვაიდერებისთვის ინფორმაციის გადაცემამდე კომისია თავად ამოწმებს, ირღვევა თუ არა საიტზე განთავსებული კონტენტით საავტორო უფლებები. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შპს "კავეა პლუსის" რამდენიმე მიმართვა, რომელიც ითხოვდა იმ ქართული ვებგვერდების დაბლოკვას, რომლებზეც აუდიო-ვიზუალური კონტენტი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე ვრცელდებოდა.[9] კომისიამ შეამოწმა საავტორო უფლების არსებობა, მიმართა Sony Picture Distribution-ს და მათგან მიღებული მეილის (რომლითაც კომპანიამ დაადასტურა, რომ ჩამოთვლილ არც ერთ ვებგვერდს არ ჰქონდა მათი პროდუქციის გავრცელების უფლება) შემდგომ მოითხოვა პროვაიდერებისგან ვებგვერდების დაბლოკვა.

უმრავლეს შემთხვევაში, აღნიშნული საფუძვლით ვებგვერდების დაბლოკვის მოთხოვნით მიმართავდნენ აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებზე საავტორო უფლების მქონე სუბიექტები, იმაზე მითითებით, რომ ჩამოთვლილი ვებგვერდები შესაბამისი ნებართვისა და ლიცენზიის გარეშე ავრცელებდნენ კონტენტს. მაგალითად, საპროდიუსერო კომპანია "მაგნეტ ფილმსმა", რომელიც 2015 წლიდან ეწევა აუდიო-ვიზუალური კონტენტის წარმოების საქმიანობას, მოითხოვა იმ კონკრეტული ვებვერდებზე წვდომის შეზღუდვა, სადაც შესაბამისი ლიცენზიის გარეშე განთავსებული იყო კომპანიის ნაწარმი, ფილმი "უარყოფითი რიცხვები". ორ შემთხვევაში მიმმართავები იყვნენ ფიზიკური პირები, რეჟისორები, რომელთა მხატვრული ფილმები უნებართვოდ იქნა განთავსებული პირატულ და ტორენტ საიტებზე.[10]

საავტორო უფლების მქონე კომპანიები, როგორც წესი, კომისიისადმი მიმართვის წერილს თან ურთავდნენ თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას. მაგალითად, შპს "ჯი ემ აი", მუსიკალური გამომცემლობა და ფონოგრამებზე უფლებების მმართველი, რომელიც ქართველი კომპოზიტორების/ტექსტის ავტორებისა და შემსრულებლების საავტორო და მომიჯნავე უფლებებს ექსკლუზიურად მართავს, ითხოვდა იმ ვებგვერდების

[9] ისეთი ვებგვერდები, როგორიცაა [adjaranet].[com], [imovies].[cc], [movie].[ge] და სხვ.

[10] დეა კულუმბეგაშვილის ფილმი: "დასაწყისი" და ანა ბუკიას ფილმი: "მე გადავცურე ენგური".

დაბლოკვას, სადაც ხდებოდა ფონოგრამების/მუსიკალური ნაწარმოებების უკანონო რეპროდუცირება. საკუთარი უფლებამოსილების დასადასტურებლად კომპანიამ კომისიას წარუდგინა ავტორ/შემსრულებლებთან დადებული განსაკუთრებულ უფლებათა მართვის სალიცენზიო ხელშეკრულებები.

საავტორო უფლებების დამრღვევ პროდუქციაში, მათ შორის, იგულისხმება მომიჯნავე უფლებების დამრღვევი პროდუქციაც.[11] მაგალითად, სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციის უფლების მქონე ორგანიზაციები (Eurasian Broadcasting Enterprise Limited (სეტანტა სპორტი) და შპს "აჭარასპორტ.ტვ") მიმართავდნენ კომისიას იმ ვებგვერდების დაბლოკვის თხოვნით, სადაც ხდებოდა სპორტული ღონისძიებების უნებართვო ჩვენება. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საკუთარი უფლებამოსილების დასადასტურებლად კომისიას წარუდგინეს ლიცენზიის გამცემი სუბიექტების დასტური სპორტულ ღონისძიებებზე ექსკლუზიური უფლებამოსილების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე და ლიცენზიის ხელშეკრულებები.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საფუძვლით მოთხოვნილ ინტერნეტ-კონტენტზე წვდომის რეალური შეზღუდვის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. კერძოდ, 29 მიმართვით, ჯამში მოთხოვნილ იქნა 373 ვებგვერდის დაბლოკვა. კვლევის ფარგლებში მოხერხდა 307 ვებგვერდის გადამოწმება[12], რომელთაგანაც, დღეის მდგომარეობით ხელმისაწვდომია 159 (კონტენტის **51.8 %**).[13]

---

[11] "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით მომიჯნავე უფლებათა სუბიექტები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და **მაუწყებლობის ორგანიზაციები**.

[12] დანარჩენ 66 შემთხვევაში ამა თუ იმ მიზეზით შეუძლებელი იყო კონტენტის გადამოწმება ან/და დაუდგენელი იყო მასზე წვდომის სტატუსი.

[13] ზოგიერთ შემთხვევაში, კომისიის მიერ პროვაიდერებისთვის მიწოდებული ვებგვერდები აკეთებენ მომხმარებელთა გადამისამართებას სხვა დომენზე (თუმცა იგივე შინაარსის ან/და სხვა ტიპის დაუშვებელ კონტენტზე). ასეთ შემთხვევებში, ტექნიკურად, მოთხოვნილ კონტენტზე წვდომა არ არის შეზღუდული და წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის ამგვარი ვებგვერდი "დაბლოკილად" არ მიიჩნევა. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ვებგვერდი ხელმისაწვდომია, ხოლო კონკრეტული კონტენტი ამოღებულია (მაგალითად, კომისიის მიმართვის შედეგად აღარ არის განთავსებული კონკრეტული ფილმი). ასეთ შემთხვევებში, კვლევის მიზნებისთვის ინტერნეტ-კონტენტი "დაბლოკილად" მიიჩნევა.

კვლევისას აგრეთვე გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ვებგვერდის მფლობელები ამა თუ იმ ფორმით ცდილობდნენ შეზღუდვისთვის თავის არიდებას. მაგალითისთვის, ვებგვერდი [prime-movies].[tv] შესვლისთანავე მომხმარებლებს სთავაზობს მობაილ აპლიკაციის გადმოწერას. მხოლოდ აპლიკაციით არის შესაძლებელი შეზღუდულ კონტენტზე წვდომა, ხოლო თავად ვებგვერდზე იგი არ არის განთავსებული. ამგვარი შემთხვევები კვლევის მიზნებისთვის შეზღუდულ კონტენტად მიიჩნევა. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ვებგვერდი შესვლისთანავე ითხოვს რეგისტრაციას (მაგ. [gelexy].[ru]) და მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი ვებგვერდზე განთავსებულ კონტენტზე წვდომა. ამგვარი

საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა სახის ინფორმაცია (34 მიმართვა)

საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული ინფორმაციის 34 შემთხვევიდან კონკრეტული საფუძვლების მიხედვით მდგომარეობა გამოიყურება შემდეგნაირად:

პროსტიტუცია[14] და პროსტიტუციის ხელშეწყობა (13 მიმართვა)[15]

აღნიშნული საფუძვლით კომუნიკაციების კომისიის მიმართვები ჯამში ეხებოდა 30 ვებგვერდზე წვდომის შეზღუდვას, 19 მათგანი დაიბლოკა (შემთხვევათა **63 %**).

უმრავლეს შემთხვევაში კომისია ახდენდა მომხმარებლების, ფიზიკური პირების წერილებზე რეაგირებას და პროვაიდერებისთვის გაგზავნილ მიმართვებში აზუსტებდა, რომ პროსტიტუცია წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას. ხოლო ორ შემთხვევაში კომისიამ მოახდინა რეაგირება შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წერილებზე, როდესაც სამმართველომ პროსტიტუციის ხელშეწყობის საქმეზე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში გამოავლინა და მოითხოვა კონკრეტული ვებგვერდების დაბლოკვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა წერილებიც და შსს-ს წერილებიც ეხება მსგავსი შინაარსის ვებგვერდების[16] დაბლოკვას, მაგრამ, მომხმარებელთა მიმართვის შემთხვევაში პროვაიდერებისთვის გაგზავნილ წერილებში კომისია დაბლოკვის საფუძვლად უთითებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, ხოლო შსს-ს მიმართვის შემთხვევაში - სისხლის სამართლის კოდექსს.

შემთხვევები ვებგვერდზე რეგისტრაციის გზით არ გადამოწმებულა და დაუდგენელია რეალურად შეზღუდულია თუ არა კონტენტი ავტორიზაციის შემდგომ. შესაბამისად, ასეთი შემთხვევები სტატისტიკაში არ იქნა გათვალისწინებული.

[14] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^3 მუხლი.

[15] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლი.

[16] თითოეულ შემთხვევაში საუბარია ე.წ "სექს მუშაკების" საკონტაქტო ინფორმაციის შემცველი ვებგვერდების დაბლოკვაზე.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაუცველად, შესაბამისი ნებართვის არარსებობის პირობებში აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდება (11 მიმართვა)

აღნიშნული საფუძვლით ვებგვერდების დაბლოკვის მოთხოვნით კომისიას მიმართავდა სსიპ შემოსავლების სამსახური. სამსახურის წერილებში ნათქვამია, რომ დასახელებულ ვებგვერდებს არ გააჩნიათ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სათამაშო ბიზნესის ნებართვა, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას და ამცირებს ბიუჯეტის შემოსულობებს. საუბარია ისეთ ვებგვერდებზე, რომელთა საშუალებითაც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ რეგისტრაცია, აზარტულ/მომგებიან თამაშობაში მონაწილეობა, ანგარიშზე თანხის განთავსება და განაღდება.[17]

მოცემული საფუძვლით მოთხოვნილ იქნა 18 ვებგვერდის დაბლოკვა, რომელთაგანაც წვდომა შეიზღუდა მხოლოდ 3-ზე (**17%**).

ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით მომხმარებელთა კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა[18] (5 მიმართვა)

აღნიშნული საფუძვლით ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვის მოთხოვნით კომისიას მიმართავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო. კომისია ახდენდა რეაგირებას სამმართველოს მიერ სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში გამოვლენილ იმ ვებგვერდებზე, რომელთა მეშვეობითაც, შსს-ს ინფორმაციით ადგილი ჰქონდა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით მოქალაქეების კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევას.

აღნიშნული საფუძვლით შსს-მ მოითხოვა 5 ვებგვერდის დაბლოკვა, 5-ვე მათგანზე წვდომა შეზღუდულია.

პერსონალური მონაცემების ხელყოფა[19] (3 მიმართვა)

---

[17] ე.წ ონლაინ-კაზინოები, ტოტალიზატორები და სხვ. (მაგ. [1xbet].[com], [betvictor].[com] და სხვ.).
[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 286[1] მუხლი.
[19] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი.

მოცემული საფუძვლით კომისიას მიმართავდა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო. ორ შემთხვევაში საუბარია იმ ვებგვერდების დაბლოკვაზე, რომლებიც შექმნილია მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ დაუფლების მიზნით. ხოლო ერთ შემთხვევაში სააგენტოს წერილი ეხებოდა იმ ვებგვერდებს, რომელთა საშუალებითაც ინტერნეტ სივრცეში პერსონალური მონაცემები გასაჯაროვდა. კერძოდ, აღნიშნულ ვებგვერდებზე აიტვირთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის პირადობის მოწმობისა და სავარაუდოდ ვერიფიკაციის ფოტოსურათების მონაცემთა ბაზა.

ერთ-ერთი ვებგვერდის ინტერფეისი ჰგავდა "TBC: ინტერნეტბანკის" ინტერფეისს და ამ გზით, მოტყუებით ხდებოდა მომხმარებელთა მონაცემების (ანგარიშის ნომრები და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები) ფიშინგი (phishing).

ამ საფუძვლით მოთხოვნილი 15 ვებგვერდიდან 15-ვე დაიბლოკა.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღებას[20] (2 მიმართვა)

აღნიშნული საფუძვლით ვებგვერდების დაბლოკვას წინ უძღოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონკრეტული ვებგვერდების საშუალებით ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობის შესახებ. მოცემული საფუძვლით მოთხოვნილ იქნა ჯამში 8 ვებგვერდის დაბლოკვა. კვლევის ფარგლებში მოხერხდა 7 მათგანის გადამოწმება, 7-ვე შემთხვევაში კონტენტზე წვდომა შეზღუდულია.

საფუძვლების მიხედვით დაბლოკილი ვებგვერდების რაოდენობრივი მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

[20] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი.



დაბოლილი ვებ-გვერდების რაოდენობა დომენის ტიპების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად: (მხედველობაშია მიღებული 10 ყველაზე ხშირად გამოყენებული დომენის ტიპი)



დაბლოკილი გვერდების მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული 5 დომენის ტიპები ქვეყნების/რეგიონები (ccTLD) მიხედვით.

ქვეყანა	დომენი	ვებგვერდების რაოდენობა
საქართველო	.ge	35
რუსეთი	.ru	29
ტუვალუ	.tv	24
ქოქოსის კუნძლები (ავსტრალია)	.cc	15
მონტენეგრო	.me	11

2.4. რამდენად ეფექტურია ვებგვერდთა დაბლოკვა პრაქტიკაში

კომისიის აღნიშნული უფლებამოსილების ეფექტურად აღსრულება შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს რეალურად დაბლოკილი კონტენტის საკმაოდ დაბალმა მაჩვენებელმა. კერძოდ, ვებგვერდების დაბლოკვის რეალური მაჩვენებელი არის დაახლოებით **55%**.

ხოლო საფუძვლების მიხედვით რეალურად დაბლოკილი გვერდების წილი შემდეგნაირად გამოიყურება:



დეტალური ცხრილი:

სამართლებრივი საფუძველი	**მოთხოვნილი ვებგვერდების რაოდენობა**	**დაბლოკვის რეალური მაჩვენებელი**
პერსონალური მონაცემების ხელყოფა	15	100%
ნარკოტიკული საშუალებების გასაღება	7	100%
კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევა	5	100%
პორნოგრაფია	31	90%
პროსტიტუცია	30	63%
საავტორო უფლებები	373	49.1%
აზარტული თამაშები	18	17%

უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც კომისიისადმი მიმმართავ სუბიექტებს სახელმწიფო ორგანოები წარმოადგენენ, ვებგვერდების რეალური დაბლოკვის წილი

გაცილებით მაღალია (მხოლოდ შსს-სა და ციფრული მმართველობის სააგენტოს გათვალისწინებით აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 95%-ია).

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა დაბლოკვისთვის თავის არიდების სხვადასხვა გზები. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში, ვებგვერდები აკეთებენ მომხმარებელთა გადამისამართებას სხვა დომენზე (თუმცა იგივე შინაარსის ან/და სხვა ტიპის დაუშვებელ კონტენტზე). ასეთ შემთხვევებში, ტექნიკურად, მოთხოვნილ კონტენტზე წვდომა არ არის შეზღუდული და წინამდებარე სტატიის მიზნებისთვის ამგვარი ვებგვერდი "დაბლოკილად" არ მიიჩნევა.

დაბლოკვისთვის თავის არიდების მიზნით გამოიყენებოდა აგრეთვე მომხმარებლებისთვის აპლიკაციის გადმოწერის შეთავაზება. ასეთ დროს მომხმარებლებს შესვლისთანავე სთავაზობენ მობაილ აპლიკაციის გადმოწერას, რომლითაც შესაძლებელია შეზღუდულ კონტენტზე წვდომა, თავად ვებგვერდზე კი იგი არ არის განთავსებული. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ვებგვერდი შესვლისთანავე ითხოვს რეგისტრაციას და მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი განთავსებულ კონტენტზე წვდომა – მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლებისთვის.

ასეთი შემთხვევების რაოდენობრივი მონაცემები:



კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დაბლოკილი ვებგვერდების მფლობელები იყენებენ სხვადასხვა პლატფორმებს (მაგალითად, Telegram) მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის. ისინი ოპერირებენ მათი დამკვიდრებული საფირმო სახლით (ბრენდინგი, სახელწოდება, ლოგო) და მარტივად ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის.

აღნიშნულ პლატფორმებზე მომხმარებლებს მიეწოდებათ ინფორმაცია ყოველი ახლად დარეგისტრირებული დომენის მისამართის შესახებ (ბლოკინგისთვის გვერდის ასავლელად ხდება ახალ-ახალი დომენების რეგისტრაცია), აგრეთვე სხვადასხვა გზებით დაბლოკილ საიტზე შესვლისთვის. მაგალითად, მითითებულია ერთ-ერთი VPN-ის გადმოსაწერი ბმული და მისი გამოყენების ინსტრუქცია.



ამგვარად, ვებგვერდების მფლობელები ამა თუ იმ გზით, მაინც ახდენენ დაუშვებელი პროდუქციის გავრცელებას და მარტივად უვლიან გვერდს “ბლოკინგს”.

ანალიზის ფარგლებში გამოკვლეული **480** ვებგვერდის საერთო სტატისტიკა გამოიყურება შემდეგნაირად:



3. პროცედურული ბუნდოვანებები: ვებგვერდთა დაბლოკვის მექანიზმის ბოროტად გამოყენების პოტენციალი

კვლევის მიზანი არ ყოფილა თითოეული დაბლოკილი ვებგვერდის მართლზომიერების საკითხის შესწავლა, თუმცა სისტემურ დონეზე არ იკვეთება, რომ კომისია ბოროტად იყენებს ვებგვერდთა დაბლოკვის მექანიზმის პროცედურულ ხარვეზებს. მათ შორის, არ იკვეთება საინფორმაციო ხასიათის ვებგვერდების წინააღმდეგ მისი გამოყენების პრეცედენტები. მიუხედავად ამისა, სახეზეა არაერთი, ძირითადად, პროცესუალური მოუწესრიგებლობით გამოწვეული ხარვეზი, რომლებიც მიუთითებს რომ ვებგვერდთა დაბლოკვის მოქმედ მექანიზმს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

უფრო კონკრეტულად, რეგლამენტი და კომისიის მიერ მიღებული სხვა აქტები არ შეიცავს იმ პროცედურულ წესებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ვებგვერდების დაბლოკვის შესახებ მიმართვების განხილვა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება. ამგვარი წესების არარსებობის პირობებში იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული არაერთი რისკი. სანიმუშოდ, კვლევისას გამოიკვეთა, რომ რადიკალურად განსხვავდება კომისიის რეაგირების ვადები ვებგვერდთა დაბლოკვის თაობაზე შესულ მიმართვთან დაკავშირებით - რიგ

შემთხვევებში კომისია მიმართვიდან ერთ დღეში უგზავნის პროვაიდერებს წერილს, სხვა შემთხვევებში ამისთვის სჭირდება სამი თვე.

ნორმატიულად არ არის განსაზღვრული რა პროცედურული ან/და მატერიალური სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს კომისიამ, როდესაც აფასებს კონტენტის შესაბამისობას რეგლამენტის მოთხოვნებთან. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღებამდე ან მიღების შემდგომ ევალება თუ არა ვებგვერდის მფლობელებთან კომუნიკაცია, მათი მოსმენა კონტენტის კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით?[21] ან, როგორია კომისიის უფლებამოსილების ფარგლები ვებგვერდზე გადაცემული შინაარსის დაუშვებელი პროდუქციის ცნებასთან შესაბამისობის განსაზღვრისას? ეს კითხვები განსაკუთრებულად რელევანტურია "კანონმდებლობის დარღვევით გადაცემულ სხვა ინფორმაციასთან" მიმართებით. ხშირ შემთხვევაში, კომისია თავად აფასებს/ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება კონტენტი "დაუშვებელი პროდუქციის" კრიტერიუმებს, ხოლო სახელმწიფო ორგანოების მიმართვების შემთხვევაში მთლიანად ეყრდნობა მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. განსახილველი სფეროს ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზები, მთლიანობაში, ეჭვქვეშ აყენებს დომენის მისამართის/ვებგვერდის მფლობელთა უფლებების ეფექტური დაცვის შესაძლებლობებს ადმინისტრაციული განხილვის მიმდინარეობისას.[22]

დამატებით უნდა აღინიშნოს ვებგვერდთა დაბლოკვის მოქმედი მექანიზმის გამჭვირვალობის თაობაზე. კომუნიკაციების კომისიისა და მასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ანგარიშები არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას წლის განმავლობაში საქართველოში დაბლოკილი ვებგვერდების რაოდენობის, დაბლოკვის მიზეზების ან/და ამ მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური საკითხების თაობაზე. ამგვარ ინფორმაციას არ აქვეყნებენ არც ინტერენტ მომსახურების მიმწოდებლები ან სხვა სახელმწიფო ორგანოები. დამატებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომუნიკაციების კომისია არ წარმოადგენს ერთადერთ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც ინტერენტ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისთვის ვებგვერდის დაბლოკვის შესახებ

[21] ამგვარი კომუნიკაციის მაგალითები იკვეთება მხოლოდ საავტორო უფლებების დამრღვევ პროდუქციასთან მიმართებით რამდენიმე შემთხვევაში. კერძოდ, კომისია პროვაიდერებსს აწვდის ინფორმაციას, რომ უკვე მიმართა ვებგვერდებს კონტენტის ამოღების თხოვნით და მათგან რეაგირების არარსებობის გამო ითხოვს დაბლოკვას. უმრავლეს შემთხვევებში კი გაუგებარია ითვალისწინებს თუ არა კომისია ვებგვერდების მფლობელთა პოზიციას.

[22] ინტერნეტის თავისუფლების სისტემური გამოწვევების შესახებ დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://bit.ly/3G7djdL

მოთხოვნა შეუძლია გაუგზავნოს. ჩვენთვის უცნობია, კომისიის მიმართვის გარეშე, რამდენად ხშირად და რა საფუძვლით იყენებენ ინტერნეტ სერვის პროვაიდერები ვებგვერდთა დაბლოკვის უფლებამოსილებას.

შეჯამება

მხედველობაში თუ არ მივიღებთ ინტერნეტ გვერდებს, რომელთა გადამოწმებაც ვერ მოხერხდა, კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში ვებგვერდების დაბლოკვის რეალური მაჩვენებელი არის **55%.** ასეთმა მაჩვენებელმა და დაბლოკვისთვის თავის არიდების შემთხვევების რაოდენობამ შეიძლება კომისიის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების აღსრულების ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. აღსანიშნავია ასევე, რომ კომისია ფაქტობრივად არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა ვებგვერდების დაბლოკვის თავდაპირველი ინიციატორი. მას გააჩნია მხოლოდ ერთგვარი შუამავლის ფუნქცია მიმმართავ სუბიექტებსა და პროვაიდერებს შორის.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილების მიღებამდე კომისია არ ახდენდა ვებგვერდების დაბლოკვას არაკონსტიტუციურად ცნობილი საფუძვლების მიხედვით. აგრეთვე, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ტენდენცია არ მიუთითებს იმაზე, რომ კომისიის უფლებამოსილების გამოყენება ხდება საინფორმაციო შინაარსის ვებგვერდების წინააღმდეგ ცენზურის საშუალებად (დაბლოკილი ვებგვერდებიდან არც ერთი არ არის მედიასაშუალება).

კომისიის მიერ ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება/მიმართვა თითქმის ყველა შემთხვევაში მიიღება წინასწარი პრეიუდიციული გადაწყვეტილების (მაგ. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დასტურდება, რომ ვებგვერდის მეშვეობით გადაიცემოდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მყოფი კონტენტი) გარეშე. ხშირ შემთხვევაში, კომისია თავად აფასებს/ამოწმებს, თუ რამდენად აკმაყოფილებს შინაარსი "დაუშვებელი პროდუქციის" კრიტერიუმებს, ხოლო სახელმწიფო ორგანოების მიმართვების შემთხვევაში მთლიანად ეყრდნობა მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

დაბლოკვის ერთ-ერთი საფუძველი - "კანონმდებლობის დარღვევით გადაცემული სხვა ინფორმაცია" საკმაოდ ბუნდოვანია და იძლევა ფართო ინტერპრეტაციის

საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში აღნიშნული საფუძვლით დაბლოკილი ვებ-გვერდების მხოლოდ 5 კატეგორია გამოვლინდა (პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, კომპიუტერულ სისტემაში შეღწევა, პერსონალური მონაცემების ხელყოფა და ნარკოტიკული საშუალებების გასაღება), თავად ამ საფუძვლის ფორმულირება იძლევა მისი ფართოდ განმარტებისა და ბოროტად გამოყენების სივრცეს. ეს კომისიას აძლევს შესაძლებლობას თავად შეაფასოს, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის შინაარსი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელშიც შეიძლება მოაზრებული იყოს ნებისმიერი ნორმატიული აქტი.

სისტემურ დონეზე არ იკვეთება, რომ კომისია ბოროტად იყენებს ვებგვერდთა დაბლოკვის მექანიზმის პროცედურულ/მატერიალურ ხარვეზებს. მიუხედავად ამისა, სახეზეა არაერთი, ძირითადად, პროცესუალური მოუწესრიგებლობით გამოწვეული ხარვეზი, რომლებიც მიუთითებს რომ ვებგვერდთა დაბლოკვის მოქმედ მექანიზმს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

დაბლოკილი ვებგვერდების დეტალური მონაცემთა ბაზა გამოქვეყნებულია datalab.ge-ზე.